ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4059783

ნომერი: AR1611187

თარიღი : 28.06.2018

გაცემის თარიღი : 11.07.2018

გაცნობის თარიღი : 11.07.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ იაგორაშვილი პ/ნ 01017001188
- თბილისი დ.ჭონქაძის ქ. N 19/9

ნომენკლატურა :

- მაღაზია
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1750331, ცვლილება 3876534
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 11.03.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: "მაღაზია"
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ოთარ იაგორაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ი/მ "ოთარ იაგორაშვილი"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 01017001188

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს. "თენა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 401949978
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ხათუნა ქსოვრელი(დირექტორი)
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 18001005795

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 828.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 149.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 283.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 247.8
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 28.2
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 7.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 2377.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 2377.6
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 8.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : k1--148.6m2/828m2=0.2
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : k2--297.2m2/828.0m2=0.4
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : k3---80.1/ 828=0.1

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით ითხოვთ უნებართვოდ აშენებული შენობის დემონტაჟს და მის ადგილას ახალი შენობის მშენებლობას, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57–ე დადგენილების მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მშენებლობის ერთ–ერთ სახეს წარმოადგენს დემონტაჟი, რაც სამსახურის მიერ შესაძლებელია შეთანხმებული იქნას მხოლოდ კანონიერ შენობა–ნაგებობებთან მიმართებით. უნებართვოდ შენობა–ნაგებობების აშენება კი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობას, რაც თავის მხრივ სამშენებლო სამართალდარღვევაა. სამშენებლო სამართალდარღვევის კონტროლი ხორციელდება ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად. აღნიშნული კოდექსის მიხედვით, უნებართვო შენობა–ნაგებობების დემონტაჟი შესაძლებელია განხორციელდეს ზედამხედველობის ორგანოს მიერ მითითების გაცემით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელების შემდგომ იქნება შესაძლებელი ახალი განცხადებით საკითხის დაყენება ახალი ობიექტის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის კუთხით, სადაც უნდა წარმოდგენილ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემული შესაბამისი აქტი და დემონტაჟის განხორციელების შემდეგ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე თქვენს განცხადებას ვერ განიხილავს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.